შედგა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ხელმძღვანელობის შეხვედრა მოსკოვის საპატრიარქოს დელეგაციასთან

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 01.09.2022. 1 სექტემბერს ქ. კარლსრუეში (გერმანია) შედგა შეხვედრა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ხელმძღვანელობასა და მოსკოვის საპატრიარქოს დელეგაციას შორის, რომელსაც მეთაურობს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპლიტი ანტონი.

ემს-ს მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ: ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელი დეკანოზი იოანე საუკა, ემს-ს ცენტრალური კომიტეტის მოდერატორი დ-რი აგნეს აბუომი, ემს-ს ცენტრალური კომიტეტის ვიცე-მოდერატორები ტირგოვიშტის მიტროპოლიტი ნიფონი და მერი ენ სვენსონი, ემს-ს მუდმივმოქმედი კომიტეტის თანა-მოდერატორი კონსენსუსისა და თანამშრომლობის საკითხებში ეპისკოპოსი სიმო პეურა.

მოსკოვის საპატრიარქოს დელეგაციის მიმართ მისასალმებელ სიტყვაში დეკანოზმა იოანე საუკამ, კერძოდ, თქვა: „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში ჩვენ ვსაუბრობთ რწმენის, და არა პოლიტიკის ენაზე, ჩვენ ყველასთვის ღია პლატფორმა ვართ. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ჩვენი საძმოს სრულფასოვანი წევრია“. მან ისაუბრა უკრაინის თემასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ კონფრონტაციაზე და ხაზი გაუსვა, რომ გენერალურ ასამბლეაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება იყოს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის რაიმენაირი იზოლაციის თაობაზე.

ემს-ს ცკ-ის მოდერატორმა აღნიშნა, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პოზიცია ამ ორგანიზაციაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრობასთან დაკავშირებით, შეესაბამება ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილიბებს, რომელთა თანახმადაც ემს ყველა ქრისტიანისთვის უნდა რჩებოდეს ღია სადიალოგო პლატფორმად.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის მიმართ სიტყვაში ემს-ს ცკ-ის ვიცე-მოდერატორმა ტირგოვიშტის მიტროპოლიტმა ნიფონმა აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია „ერთმანეთის მიმართ სოლიდარობა, მიუხედავად ყველა არსებული სირთულისა“.

საპასუხო სიტყვაში ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ ბრძანა: **„ემს-ს XI გენერალურ ასამბლეაზე** ჩვენ ჩამოვედით როგორც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები. მას შემდეგ, რაც მოსკოვის საპატრიარქო ემს-ში გაწევრიანდა 1961 წელს, კაცობრიობამ მრავალი რყევა განიცადა, მრავალჯერ შეიცვალა პოლიტიკური ვითარება, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, რომ შეგვიძლია დაუბრკოლებლად მივიღოთ მონაწილეობა ამ უმსხვილესი რელიგიური ორგანიზაციის მუშაობაში, რომლის მიზანია – ილაპარაკოს არა პოლიტიკაზე, არამედ მსოფლიოსთვის ქრისტიანულ გზავნილზე“.

სსკგ-ის თავმჯდომარე შეეხო უკრაინის კრიზისს და აღნიშნა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, რაც შეუძლია, ყველაფერს აკეთებს კონფლიქტში დაზარალებულთა დასახმარებლად. იერარქმა ხაზი გაუსვა, რომ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს ლოცვა-კურთხევით ტაძრებში ყოველი საღმრთო ლიტურგიის შემდეგ აღევლინება ლოცვები მშვიდობის დამყარებისთვის, ეკლესია მონაწილეობს სამხედრო ქმედებებისგან დაზარალებული რეგიონებისთვის ჰუმანიტარული დახმარების საქმეში, ახორციელებს მასშტაბურ პროგრამებს ლტოლვილების შესაწევნელად.

ამასთან კავშირში მიტროპოლიტმა ანტონიმ **კატეგორიულად გააპროტესტა** გფრ-ის პრეზიდენტის ფ.-ვ. შტაინმაიერის დაუსაბუთებული კრიტიკა საკუთარ გამოსვლაში მოსკოვის საპატრიარქოსთან მიმართებით და აღნიშნა, რომ დაუშვებელია რელიგიური ფაქტორის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება.

შეხვედრის დასასრულს ემს-ს ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციას წარმატებული და ნაყოფიერი მუშაობა უსურვეს.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89585/